ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3592977

ნომერი: AR1522081

თარიღი : 28.07.2017

გაცემის თარიღი : 05.10.2017

გაცნობის თარიღი : 05.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N126 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან შველიძე პ/ნ 35001001612
- რუსთავი VII მ/რ კორ. 27 ბ. 60

ორგანიზაცია:
- არქსტუდია კოდი: 416316132

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2707132 (03/02/2017 #3078283) (06/07/2017 #3369057).
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 18.07.2016

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2797982
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 25.08.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური (საოფისე,დამხმარე,კომერციული).
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან შველიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. ელ+
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206108950

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. ელ+
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206108950
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლაშა ჭუმბურიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 56001002898

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 4625.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1841.6
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 3614.4
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 437.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 350.7
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 435.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 51.6
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 871.1
- .საწარმოო ფართობი (კვ.მ).: 1269.2
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 199.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 15923.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 15751.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 171.8
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 13.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 11.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1491.5/4625=0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3713.8/4625=0.8
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1120.7/4625=0.2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2797982
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 25.08.2016

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2797982
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.08.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1.წარმოსადგენია ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500), შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების, ხე-ნარგავების ჩვენებითა და შესაბამისი პირობითი ნიშნების დატანით) და ამ ტოპოგრაფიულ გეგმასთან ერთად უნდა იქნას ატვირთული თქვენ მიერ დამუშავებული გენ–გეგმაც. აღნიშნული გენ-გეგმის ნახაზი შესრულებული უნდა იქნას პროექტის შემსრულებელი ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე, საპროექტო შენობის საკადასტრო გეგმასთან მიბმის მანძილების ჩვენებით, დაღერძილი, ღერებს შორის მანძილების მითითებით და მომიჯნავე მიწის ნაკვეთების ჩვენებით.

2.ვინაიდან პროექტირების შედეგად ხდება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების მოჭრა/გადატანა, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან აღნიშნულთან დაკავშირებით; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №17-55 2014 წლის 12 დეკემბერი ქ. თბილისი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავებს შორის შეადგენს 1 მეტრს. საჭიროა აღნიშნულის შესაბამისად დაკორექტირდეს საპროექტო ფოტომონტაჟი, რომელზეც ასახულ შენობა–ნაგებობასა და არსებული ხე–ნარგავს შორის მანძილი იქნება არანაკლებ 1 მეტრისა.(გაითვალისწინეთ, რომ მანძილი ხიდან შენობამდე მითითებული უნდა იყოს ხის ძირიდან).

3.შეასწორეთ კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის კონტური (კროკი).

4.ვერ ხერხდება კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის კონტურის (კროკის) შემოწმება. წარმოადგინეთ გეგმები სრული საკადასტრო საზღვრების დატანით.

5.განაახლეთ კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოების მიხედვით.

6. წარმოდგენილ იქნეს სს საქართველოს ბანკის წესდების შესაბამისად, გენერალური დირექტორის მიერ გაცემული თანხმობა ან იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ დავით ესიავას აქვს თანხმობის გაცემის უფლებამოსილება.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.